სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 იანვარი, 2026 წ.

ბრძანება №01-04/07

„2022 წლის თებერვალში ჩატარებული ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის-მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 21 თებერვლის № 01-04/13 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის „აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N07 გადაწყვეტილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27ივლისის N05 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს რექტორ ტიტე არაშიძის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 21 იანვრის 01-14/18 ბრძანების, „ERASMUS + საგრანტო პროექტის ფარგლებში ბსუ-ს რექტორის მოადგილის სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით, გიორგი ქათამაძის პოლონეთში, ვროცლავის მერიტო უნივერსიტეტში (WSB Merito University in Wroclaw) გამგზავრების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 16 იანვრის 01-06/08 ბრძანების, „აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის-მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომლის რაულ გოცირიძის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 21 თებერვლის № 01-04/12 ბრძანების, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 21 იანვრის N01-02/11 ბრძანების, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს № 30-05/03 სხდომის ოქმისა და აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის ნ. მხეიძის (MES 2 22 0000154337 16.02.2022 წ.) და საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) უფროსის (MES 7 26 0000059820, 23/01/2026 წ.) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „2022 წლის თებერვალში ჩატარებული ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის-მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსის შესარჩევი ღია კონკურსის შედეგის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 21 თებერვლის № 01-04/13 ბრძანებაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, ბრძანების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „2. რაულ გოცირიძესთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება 2022 წლის 21 თებერვლიდან 5 წლის ვადით (2027 წლის 21 თებერვლამდე).“.

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. ბრძანება დაეგზავნოს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს, რაულ გოცირიძეს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე
საზოგადოებასთან და საერთაშორისო
ურთიერთობების მიმართულებით,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **თამარ სირაძე**